# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 649

დამატების № 116

კვირა, 14 აგვისტო 1916 წ.

2804



ქართველთა პანთეონის გეგმა მხატვ. გრინევსკის და ინჟ. კალგინისა.

* * *

(სონა ნიკოლაშვილის ხსოვნას)

ჩემო სამშობლოვ, მშვენიერო, მეტად ლამაზო,
იქნებ სხვებისთვის მახინჯი ხარ, ჩემთვის კი არა;
შენს ამაყ გულ-მკერდს, ღვთიურ სახეს და გრძნობით მაღალს
ნუ თუ სულ მუდამ უნდა სდევდეს სხვების იარა?!..

რა დაუშავეთ დედამიწას ნათელ მზით მოსილს,
რა დაუშავეთ გინდა მაღლა თვით მზის ციაგებს,
რომ ძმების სისხლით ვერ სძღებიან სიკვდილთ მეფენი
და მათთან ერთად უმოწყალოდ გვ-ხოცავენ დებს.

დებს, მშვენიერ დებს, შუბლ მოსილებს სიცოცხლის სხივით,
მომავალ დედებს, ნამდვილ მშობლებს სულით და გულით,
რომ ვერ გაძღარან მშვენიერის სამშობლოს ხილვით
და ვერც დამტკბარან მისის ნატვრით და სიყვარულით.

სიკვდილო, არ ხარ დამნაშავე და ჩემს საყვედურს
ვერც ეღირსები, ვერც მიიღებ შენ არასოდეს,
უნდა დაიწვას, დაიღაგოს ჩვენი მოქიშპე,
რომ ნამუსისა ცოტა ოდნად არც კი რცხვენოდეს.

შენ კი ლამაზო, მიფერფლილო ნავლ-ნაპერწკალო,
ვინც შენ მკვდრად ჩაგთვლის, ის იქნება ნამდვილად მკვდარი,
შენი მზე, მთვარე დიდებული შენი სამშობლო
ჩვენს გულთან ერთად ცოცხალია, არვის სადარი...

დეე დამწყევლოს დედამიწამ, მგმოს ჯოჯოხეთმა,
ვისაც ვუყვარვარ შემაჩვენოს, აიღოს ხელი:
მეც სხვა კაცებთან წამხდარი ვარ თავ ქუდმოხდილი,
ჩემ სამშობლოის ისევ ისევ ქალია მხსნელი.

შიო მღვიმელი.

## შესანიშნავი შენობები



ინგლისის მუზეუმი ლონდონში.

## მე კი...

ხავერდოვანიმწვანე მდელო ირხევა ნელა
და ყვავილებით მოქარგულ მკერდს უშლის მზის სხივებს,
ყვავილთა ტბაზე ლაღად სცურავს ნაზი პეპელა
და ეწაფება დილის ნამის მარგალიტ მძივებს.

—

ამწვანებულ ტყეს სიო ზღაპრებს ეჩურჩულება,
მის ქორფა მკერდზე დაგრუხუნობს ნეტარებითა...
გაზაფხულია, სდუღს სიცოცხლე, ჰხარობს ბუნება,
გაქღენთილია არე ყვავილთ სუნნელებითა.

—

იცინის მიწა, იცინის ცა გულ-გაღეღილი,
იმის ტიტველ მკერდს ეწაფება მზე მკერდ-მდუღარე...
მე კი... მე გულში ჩამომაწვა სევდების ჩრდილი;
მე კი... მე ეხლა ცრემლები მდის, ცრემლები ცხარე.

ი. ვადაჭკორია.

## ნათლიას წყევლა

(სერბიული)

 იანქო ვესელინოვიჩისა.

(დასასრული *)

IV

ფურეთიჩიაანთ რომ მეხი დასცემოდათ, ისეთ აღელვებას არ გამოიწვევდა, როგორც იმ ამბავმა, რომ სთანოილომ პაპა სრეჩქო აცრემინაო. ყველა აღშფოთებული იყო და შეშინებული. დიდებს ბავშვები გულში ჩაეკრათ, ეალერსებოდნენ, ღმერთს ავედრებდნენ. თითოეული შეჰყურებდა თავის შვილს თვალცრემლიანი. ეცოდნენ, რომ წყევლაკრულვით ყველაზე წინ ბავშვები ისჯებიანო. სთანოილოს ძმები ამბობდნენ, რომ უნდა გავიყარნეთ, ერთად-ერთი ხსნა ეს არისო.

— აღარ გვინდა ერთ ჯამში პურის ჭამაო,—ამბობდა უფროსი—მილისავი.

— კარგია შენმა მზემ! ჩვენც დავიღუპოთ და ჩვენივე თვალითა ვნახოთ როგორ გასწყდებიან ჩვენი შვილები! ამბობდა პეტრე.

— ხომ მაშინვე ვთხოვდი ის წყეული მოსამართლეობა არ ეკისრა. მაგრამ მაშინ გაწიწმატდა, მიბრძანა—შენ შენ საქმეს უყურე გირჩევნიაო,—სთქვა ქუზმანმა.

— როგორც ვამბობდი, ისე მოხდა,—ჩაერია ჩურაჩიც.

— მაშ რა ვუყოთ? ვუთხრათ—გავიყარნოთ?—ჰკითხა მილისავმა.

— ვუთხრათ, ვუთხრათ!

— მერე ვინ ეტყვის?—იკითხა პეტრემ.

— მე ვეტყვი,—მიუგო უფროსმა ძმამ.

— ჰმ, რა ჰქმნა, რა ჰქმნა და ჩვენც რა გვიყო!—სთქვა ქუზმანმა.

— წინადაც იყო ბევრი რამ!—ამბობდა ჩურაჩი.

— დიდი ხანია ვამბობდი—არ გამოდგება მოსამართლედ მეთქი!—ცხარობდა მილისავი.

— ამბობდი!.. რა სიკეთე მოჰქონდა მერე ან შენთვის, ან ჩემთვის!—უმატებდა ქუზმანი.

— რას ნიშნავს, რომ ის აქნობამდე არა სჩანს?—ჰკითხულობდა პეტრე..

— რა ვიცი რასა ჰნიშნავს!

— ჯვართან ხომ არ დარჩა ნეტავი?

— არა; ამბობდნენ—მინდორში წავიდაო.

— მართლა მოსამართლე აღარ არის?

— მართალია; ეხლა პაპა იოვანეა მსაჯულად.

— ბინდდება და ის კი ჯერ არსადა სჩანს!

— სწორედ ამ დროს კარმა გაიჭრიალა. მიიხედეს. სთანოილო მოდიოდა, მთლად წელში მოხრილი სალამი არ მიუცია, ისე გაიარა და ოთახში შევიდა. ყველა გაჩუმებული იყო, თითქო პირში წყალი ჩაუყენებიათო. ელოდნენ—ეზოში გამოვაო, მაგრამ არ გამოდიოდა.

იმ ღამეს ფურეთიჩიაანთსა არავისა სძინებია. ქალები ოხრავდნენ მხოლოდ, კაცები ჩუმად ჩიბუხს ეწეოდნენ... ღამემ გადიწია, გათენება ახლოვდებოდა. მილისავი ელოდა—აბა, ჩვეულებრივ დამიძახებს თუ არა დღიურ სამუშაოს გასანაწილებლადო. უცდიდა, უცდიდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვითონ შევიდა სთანოილოსთან ოთახში. სთანოილო საწოლზე იჯდა, თავი ხელებზე დაეყრდნო და სდუმდა. სთეფანიდა, იმისი ცოლი, ლუმელის ახლოს იდგა. მილისავმა რომ კარი შეაღო, სთანოილოს თავი მაღლა არ აუღია, მილისავმა ჩაახველა, იმას ისევ ჩაეღუნა თავი.

— სთანოილო, ჰა, სთანოილო!—დაუძახა ძმამ.

— რაო?—უპასუხა სთანოილომ და თავი მაღლა ასწია.

## შესანიშნავი შენობები



პარლამენტი ლონდონში.

მილისავმა შეჰხედა ძმას. სთანოილოს თვალებში სისხლი მოსწოლოდა. სახე როგორღაც დაჰნაოჭებოდა, თმა გასთეთრებოდა.

— აი მოვედი!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 115.



პოდპ. პუტ. ფუტურიძე
(ორჯერაა დაჭრილი).



პრაპ. დიმ. ცისკარაშვილი
(მოკლულია).

— რა გინდა მერე?

— მინდა ცოტა რამ გითხრა.

— რა?—ჰკითხა სთანოილომ და აჰხედა-ჩაჰხედა.

მილისავს! თითქოს რაღაცა აღრჩობდა და ხმა ყელში უწყდებოდა.

— დავუძახოთ სხვებსაც... სთქვა მან.

— დავუძახოთ იმათაც,—მიუგო სთანოილომ და მილისავი გავიდა.

მალე შემოვიდა ოთხივე ძმა. სთანოილო წამოდგა, უთხრა ცოლს—ბოსტანში გასულიყო. როცა მარტო კაცები დარჩნენ, სთანოილომ ჰკითხა მათ ავადმყოფური ხმით:

— აბა სთქვით, რა გინდათ?

— გაყრა გვინდა!—უთხრა მილისავმა.

— რაო, გაყრაო?

— ჰო, გავიყარნეთ!—ერთხმადა სთქვა ოთხივემ.

— მე კი მინდოდა თქვენთვის სხვა რამე მეთქვა!

— რა მაინც?—ჰკითხეს ძმებმა.

— ის რომ ნათლია ჩემთან მისულიყავით!

— ის ჩვენი ნათლია აღარ არის. ხალხი ამბობს—თქვენ ნათელმირონობაზე ხელი აიღოვო. მართალია?

— მართალია... ჰო... აი იქნება თქვენ როგორმე დაიყოლიოთ...

— მერე შენა?

— მე ვერ გამიბედნია.

— შენ ვერ გაგიბედნია და ჩვენ როგორლა გავბედოთ...

— წადით, შეემუდარეთ, ის თქვენ გაპატიებთ...

— რას იტყვი, მილისავ?

— მე ვერ გავბედავ წასვლას.

— ვერ გავბედავთ ჩვენც!—სთქვეს დანარჩენებმა. სჯობს ისევ გაყრაზე მოვილაპარაკოთ.

— ჰო, მაგრამ... მე გთხოვთ, თქვენ თქვენით ხომ არ მიდიხართ.

— ვერა, ვერ გავბედავთ!

— გავიყარნეთ, გავიყარნეთ,—ამბობდა ჩურაჩი.

— ყველაფერზე ხელს ვიღებ, ხელს, ყველაფერს თქვენ გაძლევთ!

— როგორ, საგვარეულო?..

— მე არაფერი მინდა...

— შენ არაფერი გინდა, მაგრამ რადოის?—უთხრა ქუზმანმა.

— ჩვენის აზრით სჯობდა... დაიწყო მან და თავი მაღლა აიღო.

— მიეცით რადოის, რამდენიც გინდოდეთ!

— აგრე სჯობია... წადით, მოილაპარაკეთ... ჩამიბარებია თქვენთვის რადოი...

უცებ გიჟივით შემოვარდა სთეფანიდა და ღრიალი მორთო.

— ვაიი!.. ნათლია სრეჩკო გარდაიცვალა! .

თითქო'ს ყუმბარა გასკდაო, ყველა გაშეშდა შიშისაგან. პირველად ისევ სთანოილო მოვიდა გონზე.

— გარდაიცვალა!.. მერე როდის?..

— გათენებისას, გათენებისას!—გაისმა საპასუხოდ.

ლაპარაკი უკვე მეტი იყო ოჯახის მთლიანად შენახვაზე. უნდა გაყრილიყვნენ. ეს სახლი დაწყევლილი იყო, მალე უნდა გასულიყვნენ იქიდან. მთელი მამული გაიყვეს ხელდახელ. არავინა ჩხუბობდა და თავისაკენ არ მიითლიდა. სახლში დარჩა მხოლოდ სთანოილო სთეფანიდასა და რადოის ამარა...

V

სთეფანიდა ისედაც მაგარი ჯანისა არ იყო და ეხლა ხომ პაპა სრეჩკოს გარდაცვალების ამბავმა ლოგინად ჩააგდო. ვინც იმას ერთხელა ჰნახავდა, იტყოდა, რომ ის ვეღარ ადგებოდა. სთანოილო მთლად დამუნჯდა. ხალხი იმაზე თავს არ იტკივებდა. ყოველი ცოცხალი არსი იმასთან შეხვედრასაც კი ერიდებოდა; თვითონ სთანოილოც არსად, არავისთან დადიოდა. მხოლოდ იმ დღიდან, რაც სთეფანიდა ლოგინად ჩავარდა, მილისავის ოჯახიდან ერთ-ერთი რძალი დადიოდა იქ ოჯახის მისალაგ-მოსალაგებლად. სთეფანიდა სულ უკანუკან მიდიოდა. დაჰკრა ჟამმაც და სამუდამოდ დაჰხუჭა თვალები. ამ უბედურებამ მეზობლები ცოტა შეარიგა სთანოილოს. ჩვენ, ხომ იცით, ჩვეულებადა გვაქვს, ვისაც ქორწილში მოიპატიჟებ, სიკვდილის შემდეგ გასვენებაზეც იმას უნდა დაუძახო. შეუყარნენ ყველა მეზობლები სთეფანიდას ცხედრის გასაცილებლად საფლავის კარამდე. ბევრს გულიც მოულბა სთანოილოს დანახვაზე: ისეთი საბრალო სანახავი იყო. სთანოილო ჰხედავდა-ნათლიას წყევლა-კრულვა სრულდებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ იმისი სახლიდან მალე მეორე კუბოს გაიტანდნენ, რადგან მიცვალებულს თვალები ღია დარჩენოდა, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ მალე ვინმე მოკვდებოდა. გული უდუღდა, უქოთქოთებდა. შინაგანი ცეცხლი ჰბუგავდა მას, ხოლო რაც ადამიანის შიგნითა ხდება, ის უეჭველად სახეზე აღბეჭ-

# შესანიშნავი შენობები



რეიხსტაგი ბერლინში.



ბერლინის დრამატიული თეატრი.

დება. დაინახეს მეზობლებმა, როგორ იტანჯებოდა სთანოილო, შეებრალათ... ხალხი კი ხალხია, ხომ იცით... წარსული ხელად გადაავიწყდება ხოლმე. რაც ოდესმე უქიათ, ეხლა აძაგებენ, რაც უძაგებიათ, ეხლა მზად არიან ის აქონ. ამიტომაც ამბობენ: ახალი დღე—ახალი საზრუნავიო.

— ეჰ, ბატონებო, განა არა ხდება, რომ კაცი გამოიცვლება ხოლმე?!—სთქვა ერთმა.

— ე, ძმაო... შენ არაფერი იცი,—მოუჭრა მეორემ.

— ეხლა ვიცი, როგორიც არის სთანოილო.

— მაგრამ როგორ გამოცვლილა, ჰე, ჰე, ჰეე!.. ამბობდნენ მესამენი.

— სულ გათეთრებულა, სულ!—დაუმატა პირველმა.

— ჰხედავთ, ხალხო, ის სრულებითაც არ არის ცუდი კაცი,—ამბობდნენ სხვები.

— ეგ არის უჯიათია, უჯიათი!

— უჯიათია, მაგრამ სამაგიეროდ რა სასტიკად ისჯიდის... დანაშაულს...

— თქვენ როგორ შეამჩნიეთ; მე მგონი ცხონებულ სთეფანიდას თვალები მოხუჭული არა ჰქონდა!

— არა, რას ამბობ, ნუ თუ მართლა?

— ჰო, ღმერთმანი. თვალები ღია ჰქონდა!

— მაშ ვინმეს გაასვენებენ კიდევ სახლიდან...

— ალბად სთანოილოს. მალე ვნახავთ მაგიდაზე გაჭიმულს.

მოხუცმა ჩირამ თავი გააქნია.

— რა იყო, პაპი, შენ რასა ჰფიქრობ?

— ვაი თუ შვილი გაიტანონ, შვილი!..

— კარგი, მაგრამ ის ჯანსაღია, ლომივით არის!

— წყევლა იმაზეა, შვილო, იმაზე! მახსოვს, ცხონებულმა სრეჩქომ პირდაპირ უთხრა: „წარიხოცოს თესლი შენიო!"

— ჰო!..

— ეგ არის და, ეგ!.. ამბობდა ჩირა თავის ქნევით.

— აი სთანოილო!

ის სტუმრებთან მიდიოდა და ეკითხებოდა—ჰქონდათ თუ არა ფიალებში „რაქია" (არაყი).

სთეფანიდა დაასაფლავეს. სთანოილომ პატივი სცა, როგორც წესი და რიგი იყო. მეცხრე, მეორმოცე დღეს, ნახევარ წლის, წლის თავზე პანაშვიდები გადაიხადა და ყველაფერი შეუსრულა, რაც დადგენილი იყო. წელიწადი რომ გავიდა, იფიქრა რადოი დაექორწილებინა. დრო იყო. წელიწადი იყო, რაც ოჯახში დიასახლისი არ იყო და სადაც ქალი არ არის, მადლობა ღმერთს, ვიცით ოჯახში რა დოვლათიცა ტრიალებს.

ლამაზი ვაჟკაცი იყო რადოი!.. გაფურჩქვნილი, ჯანიანი. ულვაში შავად ამოეყარა, წვერიც ამოსდიოდა, მაგრამ ბეჯითად იპარსავდა. საუცხოოდ უკრავდა ებანს, მღეროდა ჩინებულად, მხიარული იყო, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. გასათხოვარი ქალები რომ შეხვდებოდნენ, ავიწყდებოდათ, რომ ის წყევლილ-კრულვილი იყო.

იმის შემყურე სთანოილოსაც ვარამი ეყრებოდა გულიდან, დაიწყო ხალხშიც სიარული, შეურიგდა პაპა სრეჩქოს შვილებსაც და ორიოდე კეთილი ადამიანი რომ დაჰყაბულებულიყო, შეიძლებოდა ნათელ-მირონობის აღდგენაც ისევ. სთანოილომ დაიწყო სარძლოს ძებნა და მონახა კიდეც პ—ში სელიჩიმიაანთსა. ქალი მოეწონა რადოისაც. სწორედ შესაფერი იყო ორივე ერთმანეთის. დაუძახა ყველას სთანოილომ სამძახლოდ. გადადიოდა ხელიდან-ხელში ვერცხლის ფიალა. დაჰპატიჟა იოვანეც, სრეჩქოს შვილი, სთხოვა სვინად ყოფილიყო. იოვანემ უარი სთქვა, რადგან სიკვდილის წინ მამამ დამაფიცა აღარ დაუნათლიავდეო. დაჰყაბულდა მძახლობაზე. სთანოილომ სვინად მოიპატიჟა მსაჯული პაპა იოვანე. ნათელი უდგა სთანოილოს გულში. გაყმაწვილდა ნახევრად. მარჯვედ დადიოდა, სწრაფადა ტრიალებდა, მირბოდა, მორბოდა, რას არ სჩადიოდა. „მადლობა, შენ უფალო! მაღირსე მხოლოდ, რომ ცოლიანი ვნახო, ვიცოდე, რომ ამ ბუხრიდან ამოვა კვამლი და ოჯახში დიასახლისი დატრიალდება. მერე კი... მერე დეე მოვკვდე, მეტი სიხარულის ნახვა აღარა მსურს!.." ასე ევედრებოდა უფალს სთანოილო. ლოცვის დროს კი უცებ გაურბენდა თავში სთანოილოს ნათლიის საშინელი წყევლა-კრულვა... აცახცახდებოდა მოხუცი, ირგვლივ თითქოს შეჩერდებოდა მაჯისცემა უცებ და იგი უკვე იმედ მილეული, თითქმის შეუგნებლად, უნებლიედ იმეორებდა სიტყვებს: „მოწყალეო უფალო! შემისრულე ლოცვა ჩემი,—შემისრულე!.." მაგრამ იმედი მაინც თავისას სჩადიოდა, და სთანოილო, თითქოს შიშის წინააღმდეგო, იმეორებდა ლოცვას თავიდან. ამით თითქოსა ჰსურდა გონებიდან განედევნა ის ფიქრი, რომელიც მას არ ასვენებდა და სიცოცხლეს უშხამავდა.

VI

დადგა ბოლოს სანატრელი დღეც. სთანოილო ადრიან ადგა და მოუსვენარი დადიოდა ეზოში. შემოდგომის მშვენიერი დღე იყო. შუა-კაცებმა იწყეს მოსვლა. მოვიდა მოხუცი—სვინა, მოვიდა მაზლი, რადოის საუკეთესო მეგობარი, ვინმე ქრისმან პეტროვიჩის შვილი—სახელად სიმა, მოვიდნენ სხვა წვეულნიც. ძველმა სვინამ ბოშები მოიყვანა: ჰქონდათ დაირა, დოლი, ფლეიტა და სხვ. უფროსი შუამავალი მივიდა სთანოილოსთან, როცა დანარჩენებმა ისადილეს.

— აბა, წავიდეთ!

— კარგი!... შენა, რადოი, შენ სად მიდიხარ?

— ჩვენ შენ დამბაჩებზე მივდივართ, მამილო.

— კარგი, წადით.

წავიდნენ, სიმღერით, მხიარულებით. ცხენებზე ისხდნენ, ორმოციოდ ყმაწვილი, სულ რჩეული, ერთი-მეორეზე უკეთესი. ისვრიან თოფებს, ასახელებენ მაყრიონს, უხარიან ყველას. სთანოილოს ცრემლები წამოუვიდა სიხარულით, განიერი სახელოთი მოიწმინდა და წარმოსთქვა:

— რა ვქნა, რა დამემართა? რა მატირებს?

— სიხარულით არის, სიხარულით,—ეუბნებოდა სვინა.

— მართალი ხარ, სიხარულით მომდის! სხვა ცრემლი ღმერთმა ნუ მაღირსოს!

— ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა!

ამ დროს თავში, ვით ელვამ, კვლავ გაურბინა ნათლიას წყევლა-კრულვამ და რომ ეს აბეზარი ფიქრი ჩაეხშო, დამღერა:

მაიკა მარუ პოდ პლანინა დაიე,
მაიკა დაიე, ა მერინა ნე ნე!
ნე ჩუ მაიკო, ჟივა პოდ პლანინუ!
პოდ პლანინუ ჩესტო ტურცი ოდე...

— რა იყო, რა, სვინა, რა მოხდა იქა?—იკითხა უცებ პაპა იოვანემ.

ცხენოსნები უცებ ჩამოხტნენ ცხენებიდან. გაექანნენ იქით და რა ჰნახეს? რადოი მკვდარი ეგდო და ხელში დამბაჩა ეჭირა.

— როგორ!.. საიდან... რა მოხდა?..

საქმე მალე გამოირკვა. რაკი პატარძლის სახლს მიახლოვდნენ, რადოიმ სთქვა თავის ძმობილ სიმასათვის დამბაჩა დაეცალა. სიმას დამბაჩა დაეცემინებინა, არ გავარდნილიყო, დაეცემინებინა კიდევ, კიდევ არ გავარდნილიყო, რადოის ეთქვა—რომ კაი ხანია რაც დამბაჩა გატენილია, მაგრა გამოსწიე ჩახმახსო. იმასაც გამოეწია, გავარდნილიყო, პატრუქი აპრიალებულიყო. რადოის გამოერთმია, რომ ენახა ტყვია გავარდნილიყო თუ არა. სახიფათოდ დაეჭირა დამბაჩა, სწორედ პირთან ლულა. უცებ გავარდნილიყო კიდევ დამბაჩა და რადოი მკვდარი დაცემულიყო. დამბაჩა დიდი ხანია რაც გატენილი იყო და არც გაეწმინდათ. ცეცხლი შიგ ჩარჩენილიყო ლულაში; მალე პატრუქს მისწვდენოდა და გავარდნილიყო. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინც კაჟიან იარაღსა ხმარობს.

სტიროდნენ მოხუცნიც, ჯეელნიც. ცრემლი არ უჩანდა მხოლოდ სთანოილოს. იდგა გაქვავებულივით, ხელები ქამარში ჩაერჭო და შვილს შეჰყურებდა. ის კი ეგდო თავგადაგდებული, სისხლში ამოსვრილი... ვინ იცის რა ფიქრი უტრიალებდა მაშინ მამას თავში?. ეს ეცოდინება მხოლოდ მას, ვისაც სთანოილოსთანა უბედურება გადახდენია თავსა. მაგრამ დაგიფაროთ ღმერთმა, არავის ვუსურვებ იმის განცდასა.

უცებ სთანოილო გაბრუნდა, ამოსტაცა რადოის ძმობილს ქამრიდან დამბაჩა, მიიდო შუბლზე, გამოსწია ჩახმახს და გაიხვრიტა შუბლი, ვიდრე მოასწრებდა ვინმე და დამბაჩას ხელიდან გამოსტაცებდა... სთანოილომ ტვინი ახლოს მდგომთ შეასხა და ერთი მიცვალებულის მაგიერ, უკვე ორი იდო—მამა და შვილი!..

მაყრიონი ზარდაცემული შესცქეროდა ყველაფერს. ბოლოს, როცა სინამდვილე გაითვალისწინეს, პაპა იოვანემ წარმოსთქვა:

— საწყალი ბიჭი! თუ ნათლიამ დასწყევლა ვინმე, დედაც კი ვეღარაფერს უშველის თვის ლოცვა-ვედრებითო.

აი რასა ჰნიშნავს ნათლიის წყევლა-კრულვა.

სანგანიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და უნებური მკვლელი გავხდი!—ხმა მაღლა წარმოსთქვა რეჯებმა სიზმარში!..

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.